

F 24
1887

თ ე ბ გ რ ი

საქონლი
სამართლის
სამსახურის
განცხადების
სამსახური

საქონლი-კვირა სალიტერატურო და სამსახურო გაზეთი

1887 წელს 6

№ 3

იანვრის 25.

გაზეთი დირს: ერთის წლ. 5 მ., ნომ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 გ.
ხალის მიწერა მიღება: თბილისში რედაქ. კანცორაში. ფოთში
პესარ, კალანდაძესთან. აღრესი გარეშე მცხვრებთა თვის: თეატ-
რის, ვ. რედაქციი გაზეთი ისუნი დება: თბი-
ლისში ჩამოგადას წიგნის მაღაზიაში; ხიდის უკრთა: ალიქანოვის პავილი-
ონის მაღაზიაში. ჭუთისში: ჭილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარი-
მაზერ ანსენასთან.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორისპონდენცია) გარემონ-
ტიდა იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოითხოვს წერილებს რედაქცია შე-
ცნორებს. რედაქცია არა კისრელობს წერილების უკან გაგზავნას და მათ
შესახებ მიწერ-მიწერას.

უკვე წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და სა-
ცხოვრებელი ადგილი დაწერისა.

„თეატრის“ პანტორა უმორჩილესად სოხუმ
გვ. ხელის მომზადებით დააშუროთ უულის გამოგზავნა.
ვიცხ ამ თვის 29-მდის არ მართადგენ უულს, გვა-
თის გაგზავნა მომვალეა.

ლ ე ჭ ს ნ ი

ეზო და მთვარე

(გორგეგამ).

გაკადნიერდა მწე მეტად
და დაეკითხა მოვარეს:

„ვით არა გრცხვენის უმანეო
„დიაცს დამ-დამე მოარეს?“



„ამოხვალ-როცა უველანი
 „მაგრა იკეტენ თვის სადგურს
 „და დედა ძრიტალ ბაღანას
 „ნანინას“ უძღერს საამურს;

—

„როცა მსოლოდ-და ღამისა
 „ჟეპელა მიმოფრიალობს
 „და აღტაცებით მგოსანი
 „ზღვის პირას დასჭირალობს.

—


„მაგ შენმა ქცევამ სხეებსაცა
 „წაბაძეის თავბრუ მოჟკვარა—
 „სხვა ვარსკვლავებმაც ჯგუფ-ჯგუფად
 „მოჟვინეს ცისა კამარა.

—

„სხვა რომ არ იუვეს-მას გშიშობ
 „და მე იმასა ვჩივით—
 „სურდო ძეგნვდება... ღამ-ღამით
 „ნიავი იცის ციფით.

—

მთვარემ მიუგო: „შენ რა გრჯის,
 „ან ნეტავ რასა სკავრობო?
 „—რჩევისთვის მადლობელი ვარ,
 „მაგრამ ბევრს მეტიარობო.“



მ ი თ ს ს ი ნ ი ს ა ნ ი

ნამდვილი ქორწინება.

(გაგრძელება.)

მრთს საღამოს ოკუტომპბრის თვის დამლექს ოჩივე ცოლ-ქმარი ისხდნენ აივანზე და ყავასა სეამდნენ.

ის იყო ბნელდებოდა. მაღაქის ზემო ნაწილში კიდევ დაანთხს ფანჩები. მორან ქისმა მოჰქენია ხელი თაეის ცოლს და მიიკრა გულზე. შემოდგომის სურათის ლრმა ნალელიანობა თითქო შეერთდა მის გულის სიმწარესთან. მორან ქისს რაღაც ავალმყოფური მოუსვენრობა ეტყობოდა... უცებ ცრემლები გადმოსციდება.

— მიყვარებარ თუ არა შანიკო? უეცრად ჰკითხა. მო- რაქინსმა, თითქო ჯერ არასოდეს არ გაევონოს მიხვან სი- ტყვა: „მიყვარხარ“.

— მიყვარხარო? მიუკო შანამ მომხიბლავის ლიმილით და შემდევ ათროთოლებულმა და გაწითლებულმა განავრიძო:

— თქვენ ხელმწიფეო გიყვარებართ მე ცოტა მაინც თუ არა? — ძალიან შემდარი იქნებით რომ ანლა მე არ გიყვარ- დეთ. მე ეხლა უნდა გიყვარდეთ და მიუქროდეთ ისე კი არა როგორც ერთს სულს, არამედ როგორც ორს.

მორან ქისს რაღაც უსიამოენების ქრუან ტელმა გაუარა მთელ სხეულში, თითქო ეისმე რაიმე ცუდი ამბავი ეთქვას და ათროთოლდა. ის ნალელიანად უყურებდა თავის ქანიკოს სიშევენიერეს, რომელსაც მწუხარების ნისლი გადაჭვარებოდა. ზული ეწოდა რა ჰქედავდა, რომ თავის ცოლის თეთრ პირის სახეს რაღაც სევდის კვალი ანდა; ხედავდა მის ჩაღამებულ თეალებს, გამხდარს და მოწყენილს სახის მამომეტყველების. შოელისფერ ამაგბს თვალით ხედავდა და გული ეთუთქებოდა. მორან ქისმა კარგათ იცოდა ცეკვაფერი ამისი მიზეზი რაც იყო; იცოდა ისიც რა მწარე დღე მოელოდა მის შანიკოს ამ მო- კლეს დროში. მორან ქისს კარგათ წარმოდგენ ილი ჰქონდა

მშობიარე დედა-კაცის მდგომარეობა და ეს უფრო აწუ-
ხებდა მორანქისის გამოუცდელს გულს. შანიკო კი სულ სხვა
ოცნებას გაეტაცნა: იმას წარმოედგინა მშეენიერი ჭრელი აკ-
ვანი, შიგ მწოლიარე ყმაწვილი, პქეთ-იაქით ფარდები ჩამოშეე-
ბული და მწოლარე ბავშვის მომხიბლავი ტიკტიკი: „მამა“
„დედა“.

რამოდენიმე თეოს შემდეგ ოთხშათათ დღეს იგრძნო შა-
ნამ მუცლის ტკივილი.

მორანქისი სამსახურში იყო. აღშფოთებულმა და სრუ-
ლიად გაშტერებულმა უცებ მიიჩნინა შინ. უნდოდა შესული-
ყო პირ-და-პირ იმ ოთახში, სადაც მისი მშენიერი შანიკო
იწვა, მაგრამ უცებ ჩაუკეტეს შიგნიდვან კარები. მორანქისი
მაინც ეკრ შეაკეცეს: დაუწყო ექიმს ხან თხოვნა, რომ ოთახ-
ში შეეშვა, ხან მუქარა, მაგრამ სულ ტყუილათ—კარები მა-
ინც არავინ გაულო.

— მუ გნებავსთ, რომ თქვენი ცოლი ეხლავე მოკვდეს—
შემობრძნადით—გამოსძახა ოთახიდვან ექიმმა.

ამ სიტყვებმაც ცოტა არ იყო შეაჩერეს მორანქისი.
ზამობრუნდა მაშინევ უკან და ჩაჯდა სავარქელში, რადაც
ციცებ-ცხელებიანიერ დაიწყო თრთოლა. მორანქისი თეითე-
ულს ხმაზე, რომელიც იმ ოთახიდვან გამოისმოდა, სადაც სა-
წყალიახალგაზდა ქალი წვალობდა, შეხტებოდა და ცახ-ცახებდა.
ოთხი საათი გაეიდა, რაც მორანქისი ამნაირ მდგომარეობა-
ში იყო და თავის ცოლის მორჩინას ელოდდა. შემდეგ შეწყნარდა
უველავერი, მხოლოდ ბუჩქების მზუილი აზლვეედა ამ სიჩუ-
მეს. უეცრივ კარები გაიღო და ქალ. ოსიუნემ ათრთოლე-
ბულის ხმით გასძახა სიძეს: მოდით, მოდით ჩქარა!

ზაშტერებული მორანქისი შევარდა ოთახში და შემდევი
სურათი დაინახა: ექიმი ახალ დაბადებულ ყმაწვილს ახვევდა
ტილოებში და დედა კი ისევ „სულს ბერაედა“ ფარდები
ფანჯრებზე ჩამოფარებული იყო, ოთახში და ბნელოდა მძი-
მე ჰერი იყო მშობიარეს გარშემო. მრთ ადგილას რაღაც
ბავშვის გამოსახვევი ტილოები ეკიდა, მეორეს—საინი იდგა
რაღაც წამლებით და ერთ ბალიშვე იწვე მისი მშეენიერი

შანიკა, რომლის თეორი პირის-სახე შევი თვალ-წარბით გამოიჩინეოდა წმინდა სანთლის გაყეობული პირის-არ სახისავან. მრთი სიტყვით შანი—ის შანი, აღარ იყო, როსახისავან. მრთი სიტყვით შანი—ის შანი, აღარ იყო, რომელმაც ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ასე დააბრმავა ბეჭრული მორანებისი. მორანებისი დაეცა მუხლებზედ ტანტის წინ, მიიკრა ტუჩებში შანოს ციფი ხელები და ქვითინებდა. მქიმი და ოსიუნე ისხდნენ და ხმას არ იღებდნენ

— ზგავს შენ თუ არა, ჩემო მებობარო? ჰკიოთხა მომა-კედავმა შანამ. აი ხედავ რა ბედნიერი ვართ კიდევ!

ამ სიტყვების თქმის დროს შანი ისეთი დასუსტებული იყო, ისე დათვლილი ქონდა სიცოცხლის დღე, რომ ეს ხმა ისე მოისმოდა, როგორც შორიდგან.

— ხომ გეუგარება შენ ეს ბაშვი! ჰა?.. ისე როგორც... მე... ცოცხალი....

აქ კიდევ წაიბუტებუტა რალაც გაუგებრათ.

— ნუ სტირი ჩემო მორანებისო; მე ახლა სრულებით არაუერი მტკიცა. აი ეხლა მთლათ განვთავისუფლდი...

მკლესიაში შუაღლის ზარებს რეკაედნენ, როდესაც სიკ-ვდილის სხივი გადაეფარა შანას პირის სახეს.

— ზახსოვს როგორ რეკაედნენ იმ ზარებს ჩენი ქორ-წინების დროს?

ჰკიოთხა მორანებისმა.

შანას წარბები აუთამშდა რალასიც თქმა უნდოდა, მაგ-რამ... ხელები აუძაგმავდა და გაუციდა, როგორმაც სა-ზარლათ გაარკალა, თავი გადიქნივ-გაღმოიქნია და... იქით გადამრუნდა, თმა გვედშედ გადიყარ-გაღმოიყარა — და თი-თქოს დაიძინაო... მიეცა საუკუნო განსვენებას.

მორანებისი დარჩა გაქავებულივით. ქალბ. ოსიუნე მი-გარდა სიძეს კარში გასაყვანად; უნდოდა მოეშორებინა მკედარი შანოსათვეის.

— დამანებეთ თავი! თავი დამანებეთ! უეცრათ დაიყვი-რა მორანებისმა. მომეცალენით ყევლანი აქედგან. ზაორიეთ ეს ბაშვი, დღეის შემდეგ თვალით აღარ დამანახოთ.

სთქვა ეს და გიფივით წამოვარდა ზეზე — გამორეცა კარ-

ში სიდედრი და ექიმი. ოთვესაც ყველასაგან განთავისუფლდა—მკედარი მიიქა გულში.

მთელი ღამე მორანქისმა ამ ნაირ გიფურ მდგონისებაში გაატარა. თუმცა სიდედრი და ექიმი ბევრსა სთხოვდნენ თავი დაენებებინა, მაგრამ იმათი სიტყვები ვითომცა არც კი გაუგონია. ვერვინ ვერ გაბედა სახლში შესელა და მორანქისის გამოყენა.

მეორე დღეს საღამოს მოიტანეს კუბი, ძალით შეამტკრიეს კარები, შევიდნენ, და ნახეს რომ მორანქისი ჩაჰკონებოდა თავისს უკვე გახრწნილს ცოლს და ცოცხალ-მკედარი აიყვანეს.

III

სამი თევე მორანქისი სააგადმყოფოში იწვა და წამოდგა თუ არა ფეხზე მობრუნდა ისევ იმ ბინაზე, სადაც პირველად გაიცნო ცხოვრების გემო. თავის გრძელი სამხედრო შინელში გახვეულმა დაიარა ყველა ოთახები. სისუსტისაგან ძლიერ დგებოდა ფეხზედ. ამის შემდეგ მორანქისი იშეიათად ნახამდა კაცი კარში გამოსულს. მისი შემქუები და ნუცეშის მცემელი მხოლოდ სიდედრი და თავისი „დენშეიკი“ და დარჩა. ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე საწყალი მორანქისი—გარეთ აიგანზედ ერთათ შანასთან ყავის სმას, მოესმოდა სასტუმროდან ფორტოპიანის ხმა, რომელსაც მიუჯდებოდა მისი მშენებელი შანა და დამლეროდა მხიარულის კილოოთი სხეა და სხეა ლექსებს. ეს ყველაფერი ნათლად უხატავდა მორანქის თავის შანიკოს პირისახეს.

მივიღოდა იმ ოთახის კარებთან, საიდგნაც შანას უკანასკნელი „მიშეველეს“ ძახილი გამოისმოდა. შეხედავდა ხოლმე იმ ტახტს, რომელზედაც განისვენა მასმა შანამ, შეუწუბდებოდა გული და დაბრკედილი და დანაღელიანებული და ეცემოდა სავარძელში. პატარა ხნის შემდეგ ისევ მოვარდებოდა ტახტს და ეუბნებოდა თავის თავს: „რათა ვარ მე კ'დევ ქეეყანაზე ცოცხალი, რატომ მაშინვე არ მოვიყალ თავი ჩემ შანიკოსთან და სხე. ბოლოს თვალ-ცრემლიანი მიერდა

ოთახის კარებს, ჰერი წიხლი და შეამტერია—ნახა ლოგინი იმავე მდგომარეობაში, როგორც დატოვა თავისმა შანამ, შანას სურათი გარშემორტყმული იყო მშეენიერი სუნცლოვანი უვაცილებით და ქვევით იდგა აკვანი მშეენიერის და ბრწყინვალე სახის ყმაწვილით, რომელსაც ამოეშვა ხელები და თავისუფლად ეთამაშებოდა აკვანზე ჩამოყიდებულ მძივებს. სიღედრმა გადახადა თეორი ტილო და აჩენა სიძეს თავისი შეილი.

— ხედავ რა მშეენიერება არის მორანქისო თქვენი შეილი. დედასა ჰგავს შეილო!

მრომა ყმაწვილის შეხედამ რაღაც სევდის კვალი და-აჩნია მორანქის სახეზე და საშინლად მოაწყინა. რაღაც მხეცურმა, ჰაზრმა გაუელეა თავში. ის გაშტრებით უყურებდა თავის ცოლის სურათსაც, რომელიც ვარდებით იყო დაფარებული და აკვანსაც, საღაც მშეენიერი ბაშვის პირის სახე აბრწყინვალებდა ოთახს.

საშინელი ობი იყო მის გულში. შეეძლო თუ არა მორანქის არ მიეცა სიტყვა შანიკოსთვის, სიკედილის დროს, რომ მის შემდეგ ბაშვი ეყვარებოდა?.. შეეძლო თუ არა, აღარ აესრულებინა ის სიტყვები, რომელიც შანამ ჩაწყვეტილის ხმით სიკედილის დღეს უთხრა: „გეყვარება ბაშვი თუ არა!“

მაგრამ ამავე დროს მორანქის მოაგონდებოდა ხოლმე ის ცეცხლ მომდემი დროც და უფრო ცხადათ წარმოიდგენდა ხოლმე ყელავერს თვალ-წინ. საწყალი მშობიარე ქალის კიფილი, მისი სხეულის თახთახი, მისი მაყვალსავით შევი თვალები ნათლად ეხატებოდა ბეღვრულ მორანქის თვალ-წინ. იქმდის მიაღწია ამ ნაირი ფიქრებით მორანქისმა, რომ ყელავერი, რასაც ის წინეთ დიდის სიყვარულით და სიამოენებით უყურებდა—გახდა მისთვის რაღაც ძნელი შესახედავი, საზარელი; თითქმის სიყვარული მისთვის ბოროტებათ გარდაიქცა. სიღედრი კი მაინც თავის საქმეს ასრულებდა მიიყვანდა ხოლმე მორანქის აკვანთან და აცქრანებდა ყმაწვილის ანგელოზებრივ ღიმილისათვის.

— რატომ არ ჰყოცნი შეილო, რომ ე მაგისთანა შეილი გყავს! შთხრა ერთხელ სიდედრიმა მორანებისს, მაგრამ მთლათ გაყენითლდა ჯაერით, როდესაც შეამჩნია სიძის პირის სახეზე რაღაც უსიამოენების ჩრდილი.

— მე იყო ჩემი ცოლის მკელელი, წარმოსთქვა მკაცრის წყრომის ხმით, მაგან მოჰკლა ჩემი შანიკო და ამის დაეწყება ჩემთვის შეუძლებელია!

სთვა ეს მორანებისმა და გიფიერთ გამოვარდა აიგანზედ. სიდედრი თუმცა ხშირად ხედავდა ამ ნაირ შემთხვევას, მაგრამ მაინც არ ვარდებოდა სასოწარკვეთილებაში. მორანებისის სიდედრს ძლიერ უყვარდა თავისი შეილი-შეილი და ოღზრდა კიდეც, ასე რომ მთელი ოჯახობა თითქმის მარტო ამ ქალის კისერზე ტ ჩიალებდა: ჯერ მოუკედა ქმარი, შემდეგ თავისი სული და ხორცი—შანიკო და ბოლოს დროს შანას ყმაწვილი უდედ-მამოთ დაგდებული მის საჭირ-ბოროტოთ გახდა.

მ. მსიუნე ყოველს დღეს იჯდა შინ მარტოდ და ფიქრობდა, რა უნდა უყო მე საწყალმა ქალმა, რომ უცევ გაგიცებული მარანების მოვარდეს ჩემთან და ჩაიდინოს რამეო. ამ მწუხარების ფიქრშია ერთხელ, როდესაც შემოვარდა შინ მორანების და სთხოვა სიდედრს, რომ იყი მასთან გადასულიყო საცხოვრებლათ. სიდედრს ძლიერ გაეხარდა სიძის ამ ნაირი მოქმედება, მაგრამ ეს საიდუმლო ფიქრები მაინც არ ასევენებდნენ ქალბ. მსიუნეს.

მრთ მშეენიერს დილას გადიტანეს ქალბ. მსიუნეს ყოველ-გვარი ოჯახის აეჯულება მორანებისის ბინაზე.

მოსცილდა ქალბ. მსიუნე იმ კარდინალის ქუჩას, სა-დაც გაატარა სიყმაწვილის სანატრელი დღეები.

პირელ დღეებში ძლიერ პატივს ჰსცემდა მორანების თავის სიდედრს. მზათ იყო მორანების სიდედრის ყოველ-გვარი პატივსანი მოთხოვნილება აღესრულებინა. შოეელთვის ერთად სადილობდნენ სიძე სიდედრი, მუსაიფობდენ ტკბილათ ყოველიფერზე, მაგრამ მორანების შეილზე კი არასოდეს სიტყვაც არ წამოსცდეს დათ ხოლმე, რომელიც ამ

დროს ძიძასთან იყო გაბარებული. მაღა. მსიუნე ხშირად დადიოდა თავის შეილის-შეილის სანახავათ და როდესაც ფეხზე სიარული დაწყო ბაჟმა, მაშინ დღეში ორჯერ-სამჯერ ნახამდა ხოლმე. მთელი დღე ბაშვი ტიტინემდა რაღასაც. ბებიაც ბებიას სირბილით ფეხები სელ დაკარული ჰქონდა და როდეცემოდა ერთს უშეელებელ ხარხას აიტეხდა. ბებიაც მივარდებოდა ხოლმე ჩაისამდა კალთაში და კუცნით იკლავდა სიყვარულის სურეილს. მაღა. მსიუნემ ვეღარ გასძლო უშეილი-შეილოთ და ძიძიდგან შინ მოიყვანა. მშ დროს როდესაც მორანეისი სამსახურიდგან შინ მოდიოდა პირებლად შეხედა მას კარებში თავისი შეილი. შმაწვილმა მხიარულის თვალებით შეხედა მამას, უთხრა „გამარჯობა ჰაპაშა“! და გაუგზავნა ჰაერის კუცნა. მამა შეკრთა უცებ; ბაეშემა კიდევ გაუმეორე ეს სიტყვები; მორანეისმა რაღაც ბოროტულათ ჩაიცინა. ზაჯავრდა, მხრები ზევით აიწივა და შევარდა თავის ოთახში. ბაჟმა დაწყო ღრიალი, რადგან მარტო დატოვეს. როდესაც ქალბ. მსიუნემ აიყვანა—ხმაც აღარ გაუცია მის-თვის გარდა ორი სიტყვია:

— ზანა ბებიავ, ის კაცი ჩემი მამა არ იყო??!

ბებიამ ამაზე პასუხი ვეღარ მისცა. ამნაირმა ბაეშეის კითხებმ ის მთლათ დაკარგა, გასწორა მიწასთან. ქ. მსიუნე ამ დროს ისე გრძნობდა თავის თავს, როგორც რაიმე ნანგრევების ქვეშ მომწყველეული და დამტერეული.

IV

ამ დღიზე მათი ყოველ დღიური ცხოვრება შეიცვალა: მორანეისმა უთხრა თავის სიდერს: მომაშორე ეს ბავშვი იქცდგან თორებმ სიცოცხლე გამიმწარდებაო. მსიუნემ გაიგონა თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე აიყვანა ყმაწეილი, ერთს მივარდნილ ოთახში ჩაუკეტა კარები და ჰყვანდა დაკეტილში. მორანეისი ამის შემდეგ როცა კი სამსახურს გაათავებდა, შინ აღარ მოდიოდა. იქვე ახლოს იყო ერთი ყავახანა საღაც ყოველ დღე განუწყვეტლივ დადიოდა და დღე და ღამ სულ ლოთობაში ატარებდა. ხშირად ნახამდნენ მას

ამხანაგები მოლათ უგრძნობელს იატაკზე დაგდებულს. უნჩევდნენ კიდეც, რომ ასე არ გაფუჭებულიყო, მაგრამ სულ ამაռდ. იქამდის მიაღწია მორანეისის სილოთემ, რომ ხშირად სრულებით უგრძნობელი ეგდო ხოლმე ქუჩებში. როცა ცოცხალ-მკედარი წამოვიდოდა ბინაზე თვალ-წინ ნათლათ წარმოუდებოდა ხოლმე მისი შანიკო, თითქო საიქიოდგან სოხოედა რამე შევლას, თითქო სოხოედა ეპატიებინა პატარა ბიჭისთვის თაეისი შეცდომანი. წარმოიდგენდა მოერალი ყველა ამას და ელაპარიკებოდა მარტო თაეის თაეს.

იქლისის დამდევი იყო, როდესაც მორანეისი უგრძნობლათ დამთერალიყო და მიღიოდა ბინაზე. საშინელი სიცხე იყო. შინ არ შესულა; დაჯდა აიგანზედ და მიეცა რაღაც სულელულ ოცნებას. რამოდენიმე საათი უგრძნობელათ იჯდა; უცებ, თითქო რაღაც საოცარი ჩეენება ნახაო. მერმე დაიწყო ხელები გულზე ჯეარადინათ, თითქო რაღაცას ფიქრობსო, შემდეგ გაიძრო ჩექვები და ქურდულათ შეიპარა იმ ოთახში, საღაც მისს შეიღლს არხეინათ ეძინა ლოგინში. შეცრივ გადახადა საბანი, აიყვანა ხელში და აიგანზედ გამოიყენა. ბავშვმა როგორც უცებ გამოლეიძებულმა დაიწყო ძაგძაგი და შეაჭყიტა თვალები უცნობ პირს. ბოროტი მორანეისი მოემზადა ბავშვის წყალში გარდავდებას, მაგრამ ბაშვა ცალი ხელი კისერზედ მოხეია და ცალიც მუნდირს წაევლო.

ბოლოს როგორც იქნა გაიშორა ყმაწვილის ხელები და შეუბრალებლათ ისროლა მჩქეფარე მდინარეში, ყმაწვილმა ერთი „ვაის“ დაყვირებაც ეკრ მოასწრო...

ახლოქუჩებში არაფერი ხმაურობა არ ისმოდა, მხოლოდ ფარნები აჭყუტდნენ თვალებს, თითქოს დამხრჩევალ ყმაწვილს ეძებენო. ღამის გუშაგი დადიოდა აქეთ იქით, როდესაც ერთი რაღაც გრძნობიერი „ხარხარი“ გაისმა. მს გახლდათ მორანეისის შეიღლის დახრჩობის შემდეგ. მორანეისმა პაპიროსი გააკეთა და „ვითოვ აქ არაფერი ამბავიო“ შებრძანდა თაეის საწოლ ოთახში.

მეორე დღეს საწყალი ბაშვის ოთახში მარტო საბანი ღა ნახეს, რომელიც გადმოვარდნილიყო და ძირს იატაკზე ეგდო. ასე გათავდა ამ შეუყვარებულების ცხოვრების დღენი.

დ. ყვირილა
1883 წ. 21 აგვისტოს.

**

დაქანებარებები, სატრფოს დავემები,
მარგალიტია ლალები,
კალმითა დახატულია
ლოეაზედ აზის სალები.

ტუჩ-კბილი გაწეობილი აქვს,
გიძრის ტბას უგავს თვალები,
იმისი ცალი ამ ქვეენად
არავინ არის ქალები

ვეძებდი ვერსად ვიზოვე
სელ ქმნილი დავიარები,
მირჩიეთ საით მოვმებინო
ეთერის შესადარები.

ვამე აგერ ქაჯისა ჰევს
ის ჩემი გულის სწორია
უძნოდ უჯიჯვნის გულ მერდსა
ჩაუხვევია ტორია.

თეატრის მუშა.

მოკლე ბილეტიაივიული ცნობანი.

ედეუდე პინი (*)

(კუძღვი საუკარელს არტისტს კორე უფიანს.)

„ უდიდესი არტისტი იგი არს კინც დიადია სასცენო — დრა-
მატიულ ხედოვნების უმწერვალეს წერტილებშია“. — ასე იწეობს
გამოხენილი მეცნიერი ჭან ლიუკი ერთ-ერთს თავის რეცენზიაში
გამოხენილი ინგლისის არტისტზე ედმუნდ-კინზე და მართლაც,
დიდი არტისტი იგია, კინც დიდად ქასტავს უდიდეს ადამიანის
გრძნობათ, თუნდაც რომ დეტალებში — წვრილმანებში არტისტი მო-
გლებული იყვეს ჯეროვან გამოსახულების საშუალებას ანუ ცოდნას.

უოგელი გონიერი ადამიანი კარს და ნიჭის აფასებს არა მისი
ნაგლულევანებით, არამედ ღირსებით და ამ ღირსების რაოდენობით.

ამის გვალობაზე თუ შეუდებით ედმუნდ-კინის დაფასებას იგი
უპირველდ შიარევლს ადგილს დაიკერს ჰულა გამოჩენილთა არტი-
სტოა გუნდში. ედმუნდ-კინი იყო ერთი უდიდესთაგანი არტისტი
მთელს ეკრობაში.

ჩენ, შარმან გამოჩენილი არტისტი დავით ქარრიერი ცოტა-
ოდნათ გავაცანით პატივებულ მეოთხელებს. დავით ქარრიერი და-
დი ნიჭის პატრონი იყო და ამასთანავე ფრიად განვითარებული
და სასწავლი კარი, ხოლო ედმუნდ-კინი სრულებით მოვლებული
იყო სწავლას და განვითარებასაც. ედმუნდ-კინმა პატარათაბიძნეულ
დაიწერ სცენაზე მუშაობა და სწავლისა არც იმდენი ხალისი ქონ-
და და არც დრო. სწორეთ ასეთივე განსხვეულებას გხედავთ თუ გა-
მოჩენილ არტისტთა შორის ბედ-იღბალში და როგორც თვითონ
კინი ამბობდა: „სიცოცხლის სიტყბოების მიღებაშიაც“.

(*) რაღაც ესლა-ხან წარმოადგინა ქართ. დრამატ. საზოგადოების
დასმა აღ. დიუბას პირსა: ედმუნდ-კინი, ამიტომ ჩენ გგრონია რომ
უადგილო არ იქნება ამ გამოჩენილი არტისტის მოყვე ბოლორაფია გავა-
ცნოთ პატივებულ მეოთხელებს.

ავტორი

დავით ჭარალიკი არასოდეს არ უოფილა გაჭირებაში და თავის სიცოცხლეში არ უგრძენია და არც გაუგია, რას ეძახიან შიძმიდა-წეურებიდა; გამოვიდა იგი სცენაზედ თუ არა, მაშინათვე გავარდა მისი სახელი, იგი ერთბაშათ მიღებულ იქმნა საუკეთესო ინგლისის საზოგადოებაში: კერა გამოჩენილია და არის ტრკართა კარგები მუდამ და იურ ჭარალიკისათვის, კერა გამოჩენილ შეკრდებთან და სწავლულებთან ახლო და მეობრული კავშირი ქვინდა, ერთის სიტყვით გველანი გარს ეხვევოდნენ, გველანი უტრეთიალებოდნენ ვით გველან ჟალსა, ხოლო ეჯმუნდ-კინმა ნახევარი თავისი სიცოცხლისა გაატარა საშინელ და განუწვევილივ ტანჯვაში; მრომა და ჭარალიკი დღიური სარჩევსათვის ედმუნდ-კინს სშირად უწამდავდნენ სისხლს და მოსკვებას, მისი კიუტი ბედი სან სად გადისკრინდა მას და სან სად. არც პატივი, არც უკარდლება, არც ტებილი სიტყვა არ ურანახავს და გაუგია კინს, თუმცა დიდი ხანი მოღვაწეობა და სცენაზედ.

საზოგადოთ-სამსახური სცენაზედ მეტად უმაღლერი მრომა და ედმუნ-კინი მუდმივი იმედების გაცემის გამო იმედებული უნდა უოფილიყო სცენისათვის თავი დაენებებინა, და სხვა კაცი, რომ უოფილიყო თავს დაანებებდა კიდეც, მაგრამ ედმუნდ კინმა თავის შეუძლებელის სასიათით და ნიჭის წევალობით სხდია უკველივე. რაც კა გზას უღიასეს თავის სასურველოსაკენ.

ედმუნ-კინი სიცოცხლე მეტად სუურადდებო და საუკლის-სმოა, როგორც ნიმუში იმკათის სასიათისა, როგორც ბრძოლის მაგალითი ნიჭის და გაჭირებას შორის.

ედმუნდ-კინი დაიბადა ლონდონის შეა გულში ქასტელ-სტრიტის ჭუხაზე, 1787 სექტა 4 ნოემბერს. მამა მისი იურ კაპტორი, ხოლო აპტორობა მისი განსაკუთრებით ცირკებში და სა-ლაგანებში იყო დამტკიცრებული. ენდმუნდის სიუმაწვილე მეტად მნედა და სამწესაროა. მუდმივი გაჭირება, შიმშილ-წეურვილი და განუწვევილივ ჭუხა-ჭუხა სეტიალობა. ას ესენი იუგნენ ბაწია და განუწვევილივ ჭუხა-ჭუხა სეტიალობა. ბაწია ედმუნდ ლდიურის სარგოსთვის იმულებული იყო ათას ნიარად ტანის და სხეულობის მტრებეს და ჭამაზობას მიჰდგოლოდა და ამ მტრებით და ჭამაზურის გრეხიალობით ბაწია ჭამაზს სრულებით ბაჟუშტება ტა-

ნის სიღაზათე, შირის სახე სრულიად დაუმახინდდა, მეღავი ფე-
 ხები და გვერდები საშინლათ გაუმრუდდა. დაინახე თუ არა მშო-
 ბლებმა, რომ ბაქშს ტანის სიღაზათე ეპარგებოდა და მახინჭდე-
 ბოდა, მოაწადინეს შეცდომის გასწორება, მაგრამ დრო უკვე წა-
 სული ცუ. რა არ მოაგონეს შეიღის ტანის გასასწორებლათ,
 სან რეკინის ოგოდებით, სან კორსეტით ატარებდნენ საწყალს უმა-
 წვილს, მაგრამ კერატერმა კედარ უშეედა და ედმუნ-კინს სამუდამოდ
 დასჩნდა ტანის სიმრეული. აქ ისაც უნდა მოვიხსენოთ, რომ თუმ-
 ცა ედმუნდ-კინი პატარობისას ჯამბაზი იყო და მისი მამა აარონ
 კინს ბალაგანი ეჭირა, მაგრამ ედმუნდი უოკელოვინ ამას უვიროდა:
 მე დიდი გვარის კაცი კარ, მამა წემი პატივ ახდილი ჰერცოგია
 სორიფლების მთამბავლობილმათ.

ვალიკო-ია.

(გაგრძელება იქნება).



უ რ ი ე ლ ი კ ი ს ტ ი

(გაგრძელება).

მოქმედება მასამ.

(ოთახი მანასეს სახლში, აშეულაში, მორთელი სურათებით და პატარ-
 პატარა სტატუსით).

გამოსვლა პირველი.

მანასი (ზის საწერ სტოლთან და ანგარშეთბეს).

ახ! წეაღზედ მდგარი ბეჭნიერება
 დიდხასს გერ გასძლებს! ა გწერ აქა
 ციფრებსა, ციფრებს საუკანადებოს,—
 კრთი ტაღლა კი რომ დაეკახოს
 მათ სულ წალეკავს!... სხანს გასწორება
 ანგარიშისა შესაძლო არის
 ნაკთსაუკედები და მსოდნოდ მასში!

(ადგება, ოთახში გაივლის და სცოლიდამ სხვა წიგნს აიღებს).
 ამ წიგნის ქათსება მე უფრო მიუვარს:
 სურათს, სტატუებს, პაკიდიორნებს
 და შედრევნების საამო ჩქრიალს
 აქ მოუყრიათ დამაზად თავი,
 მაგრამ მაღაან, მეტად მაღაან
 ძვირად არაან დაფასებულნი!...
 რას დაპარაკობთ სურათის ფასზედ
 და არ მოგწონთ, რომ მის დამსატვი
 თვის შრომას მეტად ძვირად აფასებს...
 თითქოს სურათისა თქვენ ყიდულობდეთ
 ღირსებისა-მებრ!... არა, სურათში
 ჩვენ არ გაფასებთ არც ფერს, არც ტანის,
 არც დროსა, მაზედ მოსმარებულსა,
 ასე გასინჯეთ, არც თვით გენიას,
 რომელმაც სურათს შთაჭიბერა სული,—
 არა, ჩვენ გაძლიერ სურათში ფასსა,
 მისთვის რომ მარტო ჩვენ გმიშეთვნოდეს,
 და მარტო ჩვენა, განუერთედად
 გსტებებოდეთ იმის შეგნიერებით!

(მივა ერთს სურათთან და აშკურდება).

ოჯ, რა მაღალი, ტებილი გრძნობაა—
 იცოდე, რომ შენ... შენ ერთს გამჭვინის,
 რომ ბრძან ცნობისა მოუვარებისთვის
 შენს სახდში არვინ დაიწევას ცეკვას
 და რომ უბედი და უკაცი ვანმე
 მუდროებასა არ მოგიწამდაგეს!...
 არა, ჰქეუნად არ მოიპოვება
 ამაზედ ტებილი, მაღალი გრძნობა!...
 აქ, სადაც უკედა მარად და მარად
 იმეორება, იმას მხატვარი
 შექმნის ერთხელ და სამუდამოთა.
 და ის, ვითარდა გულისა სწორი,
 წმინდა, უზაკე, უუმწიდელელი

მე მეტეორება, მარტო მე მხოლოდ!...
 ეს კაუპატონი კა მოწეოდიან
 რაღაც ციფრებზედ აქ საუბარება!...
 (მივა ისევ იმ სკოლას, რომელზედაც ანგარიშის წიგნები აწევია).
 მაგრამ ესენი კით დავიგინწერ,
 რომ ანგარიში სწორე არ არის?...
 თუ, ზრუნვა! ნეტავ მე პატარ როდის?.. (ჩაფიქრდება).

გამოსვლა მოორი.

მანასე, ივლით, ჰემლეთ სიმონ.

ივლით (მცირე სნის სიჩუმის შემდეგ).
 მე უნ დაგეძებ, მამა, და კერსად
 გერ მაპოვახარ, თითქოს შენს სახლში
 დაჭარგულიყო. მასთან სარ აგრე
 დაღლნებული...

მანასე

შენ მხოლოდ აგრე
 გვიანია; თორემ აგრე არ არის.

ივლით.

იწნება დაშვრი მსსერილთ შეწირვისგან?
 მერე რამდენი შესწირე იგი
 შენ ამ დღეებში...

მანასე.

თვითონ შენ იცი:
 შეიღო, ჩენ სხვათა უპედურებით
 შედნიერნი კართ...

ივლით.

ის, ვისაც სხვანი
 შემწუნებული ერიდებიან,
 ის, ვისაც არ აქვს შესკლისა ნება
 იმ სახლში, სადაც მის დედა ცხოვრიბს,—

შენ შეიფარე, მხოლოდ შენ იგი...
 შენ მას იფარავ ფანატიკოსთა
 მძღოლებისგან, შენს სახლში ქმაღავ
 და... და იმაზედ უარს არა ხარ
 გაიხადო ის საუკარელ შეიღად!—
 თქმენ ბეჭედი გულ-ცივ ჭარადა გთვლიან;
 სხვას გული იმათ ჭვისა ჰგონიათ...
 თუ, რომა ნახონ მათ შენი გული
 ასე შემძრადო!

მანასი.

აკე ძრიელაც

ნუ აქებ, შვილო, მოხუცს მამაშენს.
 მე შევიფარე აკასტრა სახლში
 არა იმისთვის, რომ მე მინდოდა:
 საზოგადო წესს ვინც ეურჩება
 ის არას დროს არ შემიუვარდება.
 მაგრამ ის შენთვის ძვირფასი არი,
 შენ აღვარე მის სიუკარული
 ურვლის ზღილობის მიუსედებად...
 ადარც კი მინდა მოვიგონო მე
 იგი ამბავი...

ივლით (აქთ)

მე კი მით კოორდინაბ!

მანასი.

უკედამ იცის, რომ ურიელს მიბეჭ,
 როს პკლესიას შეურიგდება.
 რათაც კარ, შვილო, ასე გულ-ჩვილი
 ეგ ხომ შენც იცი...

ივლით.

ვიცი. იმისთვის

რომ გებრალება შენ შენი შეიღი
 და არ გინდა რომ წინა აღუდგე
 შენს მამობრიულს და კაცურს გრძნობას!



მანასი.

ოჯ, არა, იყდით, შემცდარი სარ შენ.
 მე თუმცა ხალხი არ მეკავრება,
 მაგრამ არცებულე მიეღ მიუკარან.
 მე რა მხრითაცა გავიცან ხალხი,
 იძულებულ მეო სხვა დამკაწება
 და ქვეუაზედ მეცნოვნა მხრიდად
 ჩემის თავისთვის. ამ ხუთმეტის წლის
 წინად—შენ მაშინ ბაჟშეა იუკა—
 ერთს შშენიერს დღეს გავარდა ხალხში
 სმა, რომ „მანასე განდერსტრატენია
 გუტრი არისო!“ და ეს ამბავი
 ბირების გერეზეც გამოაცხადეს.
 ცარიელ სიტყვით ნუგებს ბეგის მცემდნენ.
 საჭმით კი არყინ დამხმარებია
 მე იმა დოლასა...

ივლით.

დედა ჩემი, მამა?

მანასი.

ღმერთმა მის სულსა იქ განუსკენოს!
 მან გამამხნევა, მომცა იმედი,
 და ჭერეთ ისეგ ცოცხალი იეო,
 რომ გამოარწყიონდა კვდაგ წვენი ბედი,
 ის მიიღვალა ბედნიერათა,
 დასუსტებული იმ მძიმე ტკირთით,
 რომელსაც იგი დიდსანს ზიდავდა
 უგულ-ულმობელ ჰქეუნის წინაშე!
 ოჯ, ჩემზედ კარგად გინ იცის, შვილო,—
 ეს თვით ჩემს თავზედ გამომიცია,—
 რომ უნდა ქართველ უკედასა გაცია
 იძედი მხოლოდ თავის თავისა,
 სხვა მისთვის თავსა არ გინ შეიწყენს
 და არ გამოვა ხალხსთან საბორბლებად.

მან თავის თავის ბეჭნიურება
თავისი შრომით თვით უნდა ჭირვოს
და თუ რომ კინმე მიეშეღება,
ის ას ცოდი, ან შვილი იქნება.
ასეთი კაცი რა შრომას რჩება
ჩემაკით სახლში გაეშურება,
კარს ჩაიგერავს და მსოდლოდ მაშინ
დაიწუქს ჭმუნებას, როცა ნაძვიალი
ცხოვრება კარებს და ურაკუნებს...

სიმოზ (შემოდის)

დე-სილვას უთქვამს შეგატეობინოთ,
რომ ამ წამშია იგი აქ მოვა. (გადის).

ივლით.

სილვა?

მანასი.

დად... აკოსტა სადღა?

ივლით.

აქ იმაღლება, როგორც უბრძანეთ...

მანასი.

რაო, ასლაცა კიდევ იწავისებს
ახალგაზიდობა ჩეინ მოხუცეს ჩედ?
არც კი მიგვირს, რომ კიდევაცა სოჭვათ,
რომ ჩეინ კმლით თქვენსა ბეჭნიურებას?
ურიელს სილვა მფარველდა ჩემს,
ის შეარიგებს მას რაბინებთან
და დაუმშვიდებს გულს ითხას,
რომ არ აძირს შერი. აკოსტას
აქ დაუქახე!

ივლით.

შენ ჩემთ კარგი

და საუკარელო კეთილთ მამა!...

ოქ, ოომ შემეძლოს დიდი რამ ღვაწლი.
ჩავიდინო მე. მრცხვენიან სწორედ
სხვა ამაგს მდებდეს და მე არაფრით
კუნძღვე...

განასი.

წალი და დაუძახე

შენს მეგობარსა.

ივლით.

მაშ შენ იმასა

ნე დაუსკვდები განტბ ბუღ-ციგად...
შენ გიუგარს ბრწყინვა ხელოვნებისა;
და შენის სედლის სიბრწყინვადესა
რაღად არ აჩენ? იგი ხომ უფრო
ბრწყინვალე არა... (გადის)

განასი (თვალს გაადევნებს მას).

„ოქ, ოომ შემეძლოს
დიდი რამ ღვაწლის ჩადენა მეო!“
მას კი, ვანც მის გულს არ მოიგებდა—
შეიძულებდა... აი სიღვაცა.

(გაგრძელება იქნება).



დრამატიული ხელოვნება.

კრიმი, ტანთსაცმელი და სამეცნიეროა.

(გაგრძელება).

როდესაც აქტრისა არღვენს იმისთანა ტიპს, რომელი
უერთმარილს ხმარობს, მაშინ ცალი ლოცა უფრო უნდ
გაიწითლოს.

საზოგადოთ მოთამაშე უერწასმული უნდა იყოს რად
განაც სცენიდამ არა სჩანს ბუნებრივი სითეთრე და სიწით
ლე აღამიანისა.

შურების სილამაზის და სიცხოვლისათვის საჭიროა რომ ყურების ბიბილოები წითლათ შეიღებოს.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ხელებს. ძალიან ხშირად ხდება, რომ აქტორი სცენაზედ გამოდის ხოლმე მშენიერის და ლამაზის გრიმით და ხელები კი მზარეულს მიუგავს, ეს დიდი უმეტრება და დანაშაულობაა. აქტორმა კანონათ უნდა დაიდოს ყოველი ფარდის ახდის დროს, ხელები დაიბანოს და გაისუფთავოს. ხშირად ხელებს უმარილით ითვარებენ, მაგრამ ეს ცუდი ჩეცულებაა: უმარილი და პუდრი აუცილებლად ტანთსაცმელზედ გადადის, მეტადრე შავზე, მაშასადამე უმარილი ტანთსაცმელსაც აფუკებს და შთაბეჭდილებასაც.

მე არაფერი არ მითქვამს წარბებზედ, რომელნიც გრიმზი პირველს როლს თამაშობენ. წარბებზედ არის დამოკიდებული ტიპების ხასიათი; მაგალითად:

ანხელი კაცის ჭარბები. ცხეირთან მუდამ აწეულნი არიან.

გვეგიანი, მხედარი და უეუდებელი კაცის წარბები-შეერთებული.

გულ-ჩვილი და გულ-კათილი კაცისა-წერილი და მოღუნული.

მრისესანე და კერპი კაცის წარბები სქელია და თვალებზედ გადმოწილილი.

სულელსა და ბრიზვსა წარბები თითქმის არც კი ეზრდებათ და თუ აქვთ ძალიან ცოტა.

ჰკევიანი და გამილი წარბები-წერილი და სწორება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ტუჩების და პირის ზომიერებას, მაგალითად:

გულ-კათილი, კათილსანი კაცების ტუჩები ყოველთვის სხეილია ხოლმე.

გამილი, გაიძვერა კაცის ტუჩები მუდამ წერილია და უფერო.

ავაზაკვათ, დაუდევარი ტუჩები და პირი ყოველთვის დიდი აქვთ.

სულელი და რეზენტ კაცის პირი ყოველთვის დიდი და გაღებული აქვთ.

როგორც უკრასკოთ და უფერ-უმარილოთ აქტორს არ შეუძლიან სცენაზედ გამოსვლა, ისე უპარიკოთ არ შეიძლება თამაშობა.

პარიკს თავისი ხასიათი და მნიშვნელობა აქვს გრიმში და მეტადრე ტიპისათვის. შოველს ხასიათს და ტიპს თავისებური პარიკი უნდა, ზოგი ახალგაზლა, ზოგი თმა ხუჭუჭი, ზოგი შელოტი, ზოგი ჭალარა და სხვა. ზარდა ამისა არიან ესრედ წოდებული კლასიკურ-ისტორიული და ნაციონალური პარიკები. შეველას თვითოულად მათგანს სცენაზედ როლის ხასიათის და გვარად უნდა ხმარება.

ამათ გარდა არის აგრეთვე პარიკები კომიკური, ეოდევილისა, ფარისისა, ღრამისა და ტრაგედიისა. აქ ჩეც ვერ დავასახელებთ დაწერილებით და არც შეიძლება, რადგან არის ას-ასი პიესა და ათი-ათასი როლი, ყველას თავისებური პარიკები უნდა. აქტორს უნდა დიდი დაკიორევება, როგორც გრიმში, აგრეთვე მომეტებულად პარიკების ხმარებაში.

საჭიროა რომ აქტორმა დაახლოებით იცოდეს ის დრო და ეპოქა, რომელსაც ეკუთვნის მისგან წარმოსადგენი ტიპი და იმ ღროვის შესაფერად გაიკეთოს პარიკი. შოველს ღროვს თავისებური, სახასიათო მორთვა აქვს და ამ უკანასკნელ გარემოებაზედ არის დამოკიდებული პარიკის ხმარებაც.

პომიკებს და რეზონიორებს უხდებათ შელოტი ან გაკრეჭილი პარიკები—მდაბიო ტიპისათვის დიდი ბალანიანი პარიკი გამოდება; კლასიკური ავაზაკებისათვის, აგრეთვე ყოველი მნე შეუძლებელი ბოროტ მოქმედისათვის ხმარობენ რიეა გაკრეჭილ პარიკებს. ხეჭუჭი თმიანი პარიკები უხდება უდარდელ, მუდამ მხიარულ ტიპს. შევი პარიკები უხდება სამხრეთის ტემპერამენტს. მერა პარიკი უხდება ახალგაზლებს, ჩრდილოეთის მცხოვრებს და სხვა.

მრთის სიტყვით პარიკი ყოველ შემთხვევაში უნდა ეთან-ხმებოდეს ტიპს, ხასიათს, წოდებას, წლოვანობას, ტემპერა-მენტს და სხვა.

გრიმისათვის ხმარობენ სხვა და სხვა კრასკებს (ფერებს), უმთავრესი მათვანი არის თეთრი, შავი, ყავისფერი ან ლეგანი და წითელი. გრიმის აუცილებელ საჭიროებას შეაცენს აგრეთვე ეგრეთ-წოდებული „კრეპე“ — ეს არის მომზადებული ბალანი, თმა, რომლიდამაც იკეთებენ, წვერს, ულფაშებს და სხვა.

მხლა უცხოეთში და ზოგან ჩატარებული ცოტათი განეითარებული და უკეთესი არტისტები ყველანი გრიმიროვებას თვითონ იკეთებენ და უნდა ესთქვათ რომ ეს მოვლენა სასკრია ასპარეზში მეტად სასიამოვნოა. მაგრამ თუ აქტორი თავის ხელით ვერ იკეთებს გრიმსა, მაშინ საჭიროა რომ კარანდაშით დახატოს იმ ტიპის სურათი, რომელიც უნდა წარმოადგინოს, რადგან ყოველს აქტორს თავის შეხედულობა აქვს როლის სახეზედ, ესე იგი, გრიმშედ და ამ რიგათ გრიმიორი, ან როგორც ჩვენში ეძახიან, პარიკმახერი სურათის მიმსგავსებით გაუკეთებს გრიმსა, მაგრამ აქტორმა თუ ხატვაც არ იცის, მაშინ უნდა დაწერილებით აუქსნას პარიკმახერს თავის როლის ხასიათი და თუ პარიკმახერი დახელოვნებული და გამოცდილია აქტორის სურეილისამებრ გააკრითებს გრიმსა.

ჟელა ეს შეეხება აქტორებს, რომელნიც სცენით სცხოვრობენ, მაგრამ ეხლა ხშირად იმართება წარმოდგენები პროექტიგბში სცენის მოყვარეებისაგან და ამათ არც პარიკმახერი მოეპოვებათ და არც გრიმის მასალები. ამისათვის ვგონებთ ურიგო არ იქნება ცოტა რჩევა მიესცეთ სცენის მოყვარეებს გრიმის შესახებ.

ჟელგან იშოვება ფერ-უმარილი, თეთრი და წითელი ჰუღრი და პრობერა.

პრობერს დიდი სამსახურის მოტანა შეუძლიან პროექტიგბში და აი როგორ. პრობერს ერთი თავი გაუწერილეთ როგორც კარანდაშსა — შემდეგ დაიკირეთ სამთელზედ. ცოტათი დაიწვის და ამ გვარად შეგიძლიანთ იხმაროთ როგორც შავი კრასკა. თუ დაგჭრათ ყავის ფერი კრასკა

პრობკა აურიეთ (ჩაყავით) წითელს პუდრში; თუ გინდათ ნაც-
რის ფერი კრასკა თეთრი—პუდრში. ბებრის როლისათვის სა-
კმარი თმაზე თეთრი პუდრი დაყარით—ამ გვარადვე მო-
ექეცით წვერ-ულვაშსაც. საზოგადოთ უნდა ისე მოიქცეთ
როგორც ზევით მოყვანილია რჩევა აკტიორებისათვის.

ვისაც შეძლება აქეს იმათ შეუძლიანთ გამოიწერონ თბი-
ლისის თეატრის პარიკმახერისაგან კრასკები, კრეპე და წებო.

რა თქმა უნდა პირველი ნაბიჯი ყოველთვის ძნელია,
მაგრამ თან-და-თან შეეწევეთ.

(შემდეგი იქნება).

მორედის საუბარი გულაულთან.

ბელბელო! რაღას ჭიკჭიკებ
ხედავ დაგიდგა ზემთარი,
ვარდმა დაჭეარა უვავილი
თოვლმა დაფარა მთა ბარი.

მაისის ღილა გაგიქრა
დაგიდგა ციურ მარტია,
დღეში ათას ფრათ იცვლება
უწერება რაღაც სატია!

უვავი, და ჩხიჭი, გეზვება
არ უნდათ შენი სმენაო
იმიტომ რომე შენს სტენას
ქვეწისთვის მოაქვს ლასენაო.

ჭაისოსრო ცელოვინი.

ქართული თეატრი

„თეატრის“ მკათხველები გვიძლებიან, რომ ამ გაზეთში არაფერსა ცნერთ თეატრზე. ჩექნა გარმნობთ, ვიწით ჩექნი დანაშაულობა; მაგრამ ამასთან ესეც უნდა გსოვნათ, რომ თავის გასამართლებელი საბუთებიცა გააჭის. ჩექნი სიჩუმის ერთი მიზეზთაგანი შემდეგი არის:

ჯერ ერთი, რომ არა სიმართლის ღაპარავს სიჩუმე სკობია. მართლის კი თუ ვატევით, უნდა ცექნი გვივანდეს შექაზმული, შევსხდეთ და წავიდეთ ამ ქვექნიდამ თუ არა, ამ ქაღაქიდამ მაინც. ესლა გიღებო ხმას, ორიოდე სიტევა უნდა ვსოვნათ, მაგრამ ესლავ ვიწით, რა პასუხესაც მივიღებთ იმათგან ვისტედაც ვიღაპარავებთ. სხვა რომ არა იყოს რა, ამას მაინც უნდა მოვედოდეთ, რომ ზოგი ერთი წერი დრამატიული საზოგადოებასა, ჩექნი ნათებამი სიტუებით თავის თავს შეურაცხ-ურთილად ჩასთვდის და ამაგად გვეტევის: თუ ჩექნ ვერ შეგვისრულებია ჩექნი მოვალეობა, დაიბრუნეთ თქვენგან მონდობილი საჭმე და თქვენ აწარმოვეთო... მაგრამ შეიძლება ისეც მოსდეს, რომ ამ ჩემმა სიტუებმა ცოტა მაინც შეაფეროს მათი ამ გვარი სიტუების გამომჟღავნება.

ასე იქნება საჭმე, თუ ისე ამას მაინც გვეტევიან: საზოგადო საჭმეს როგორც კი მოქადაგებს ვინე სედს, თუ ზოგი ერთია არ გამოტევრა და საჭმე არ არიგ-დარივა — არ შეიძლება. თუ ამას გვეტევიან — წინ-და-წინვე ვაძლევეთ პასუხს: თუ მართლის თქმა საჭმეს წასდენს — იყავ ნება თქვენი.

მეორე მიზეზი ეს გახდავთ: სეზონი რომ დაიწეო, პატივ-ცემული „ივერია“ მაშინვე შევდგა საზოგადოთ — დრამატიული ქომიტეტის და ქერძოთ - რეკისორის ქებას და წექეზებას. სხენებული გაზეთი თათო ისეთს „შეკვე-მეტევალურ“ რეცეზიას გასჭიმავდა ხთლმე, რომ უკელა ამას ფიქრობდა: აი, ესლა კი მიუხერებია ჩექნს თეატრს თავის მიზნამდისათ. ბ. „ივერიას“ რედაქტორი მაღიან კარგათ ჰქედავდა უკელა ნაკლებებას ამ სეზონისას, კარგათ იცოდა, რომ არც კომიტეტს და არც რეკისორს

თოთიც არ გაუნდოւკიათ სეზონისთვის მოსამზადებლად და არცა
რა უზრუნვიათ, თუმცა ხუთი — ეჭხით თოვე წინ ედოთ. —
მაგრამ მაინც აქებდა კომიტეტს და განსაკუთრებით რეფი-
სორს. დაწმუნებული გართ რომ ბ. „ივერიის“ რედაქტორი
მაღიან კარგათ იცნობს ჩვენ საზოგადოებას და, ჩვენის აზრით,
ასე იმიტომ იქცეოდა, რომ არ უნდოდა დაწების უმაღლე გული
გაეტეხა კომიტეტისათვის: უძინოდაც დამიჯოხებადი საზოგადოე-
ბა უარესად დაეფრთხო... დაიწერ დაბადება, მასიდა, ერთი
აღიაქოთ ასტეხა; არიქა გვაშევეთ, ეხლა კი მიგაგენით გაჭი-
რებიდამ დამსხსნელ შირთ... მივეშეველნეთ, თორემ ისევ იმ გაჭი-
რებაში ჩავკიყითო — და... და... საზოგადოებამაც დაიწერ სია-
რული. მაგრამ შები ტომარაში არ დაიმაღლება. მოვიდნენ, ნახეს
და ტექნიკურების და ცხვირ ჩამოშეებულები წავიდნენ. ვი-
მეორებ, ჩვენ ამ აზრისა ვიუვით „ივერია“-ზე; მოგვწონდა „ივე-
რიის“ ჯერ-ჯერობით ამგვარი შეცვა და ჩვენც გავნახეთ სული და
აღარას ვამბობდით. მაგრამ ეხლა სეზონი თავდება, საჭმე ისევ
ცუდათ მიდის და „ივერია“ კი განუმდა...

როგორც უყვალაფერს, ისე მოთხინებასაც უნდა ქონდეს სა-
მძღვანი. არ იქნება ცუდი, რომ ორიოდ სიტეპა კსტეპათ საჭმის
გასასწორებლად. მაშ დავიწეოთ:

სეზონი თავდება და კარგი გერა გავიღონეთ რა თეატრში,
კარგი გერა ვნახეთ რა. დღითი-დღე ახალი ბიექტის ნახვას მო-
გებლებით, მაგრამ არ გვედრისა მათი ნახვა. (მგრინა უბაქი-ბუ-
ჭია, „რაღაც მიზეზების გამო ბ. რეფისარიისგან შეეგანებული — არ
ჩათვლდება). მართალია არა გვაჭქს ნება მოკაბელების
ორიგინალურა ბიექტი (კომიტეტი მოხსელები არ არან), მა-
გრამ სრული ნება გვაჭქს სხვ მაღლა დავიწეოთ დაპარაკეთ, თუ
ჩვენი ცხოვრების შესაფერს გადმოთავსგნილ, ანუ გადმოგეორებულ
ბიექტის არ გვაჩვენებენ... გერმო ანტონ პოლენოვის თითქმის გა-
მოვაშტერებდით ხოლმე უვიზიდეთ: ორიგინალური ახალი ბიექტ-
ის დაგვითო, და ჩვენ კომიტეტს რომ გადმოთავსგნილები მაინც
მოკაბელებით რა სიტეპებილია. არ ვიცით, სწორედ მოგახსენოთ,
რაში გამოიხატა კომიტეტის „ზორუნვა თეატრზე“, იმისი
უაფის არ დაზოგვა“, როგორც ქვეირად „ივერია“. რა

გაცემის: ან კომიტეტმა, ან იკერისაგან ფრთხებ შესხმულმა რეესისონმა. თუ ამას კიტებით რომ კომიტეტმა „საზოგადოების“ სასარგებლოდ ბალი გამართა და რაღაც 500 — 700 პ. აიღო — ეს არც ისე დიდი საჭმე ჩაუდენიათ და არც დადას სამსახურმა უნდა წაეთვალით. მაშინ იქნებოდნენ საჭებია, როდესაც ამ ფულის მოვნა და ქანა დატერიტოდა თეატრის — თეატრის საჭმეს: ან შიესებს გადაათარგმნინებდნენ, ან გადაცემის განხილვებინებდნენ,, ან გადააწერინებდნენ—ერთი სიტყვით სეზონისთვის მოქმედებოდნენ... თორებ მუქთად წამოვნი შიესების როდებიც კი არ გადააწერანეს, არამც თუ თვითონ შეეძინათ რამე, და — ამითი დადად დააბრკოლეს წარმოდგენების მსვლელობა და აქტორებისაგან რიგიანად როდების მომზადება.

თეატრის საჭმეში თავი-და-თავი რეესისონია. საჭმის გაფუჭებაც იმას უნდა დამზრალდეს და გაცემის მაღლობაც—იმას ეძღვნას.

რეესისონი ცხოვრებაში გამოცდილი უნდა იყოს. გარდა ამისა რეესისონი უნდა იყენეს სიმართლის მოყვარე, არ უნდა ასდევნებეს არავის ენას, უკველს სცენის მომსახურეს დირსეულად უნდა აფასებდეს, უნდა აკვირდებოდეს და იცოდეს როდესაც არტისტის ნიში აქვს და რისი არა და სხვა. გინგ ზემოსსენებულ ღირსებებს არის მოვლებული, ის არ გარგა სეუესისონად და არც უნდა იყიდესონ საზოგადო საჭმე თეატრი.

გისაც საზოგადო საჭმის წარმოებას მიანდობენ და ოვითონაც იგისრების ამ საჭმეს, ის არ უნდა იძრეოდეს ისე, როგორც ოვითონა „სურს“: თავისი „მსურს“ და „მნებაკს“ უნდა დაუმორნილოს იმის, რაც უფრო სკონს მინდობილი საჭმისათვის.

ეს ჩენ საზოგადოთ კსთებით, მაგრამ „გამტები თვითონ გაიგებს“

ეს გელა ამის გარდა დასში რაღაც უკმაყოფილობა ისმის. ეს უკმაყოფილობა არა წევას წევულებრივ უკმაყოფილობას. დიდი ხანია ამ ამბავს, თუ შეიძლება კსთებათ, მოვლენას, თვალ უკრს გადევნებთ და მიეკით იმ დასპენამდის, რომ დასის წევრი არას ტუფან.

დასის მმართველებმა შეიძლება იქამდის მიაუკანონ საჭმე, რომ გაცი რაც უნდა ერთგული მოსამსახურე იყოს თეატრისა, რაც უნდა მაღარან უკუკარდეს ეს წმინდა საჭმე, მაინც გულს აიცრუებენ და თავს დაანებებენ ამ საჭმეს.

საზოგადოდ ქართული თეატრის მმართველი უნდა ცდილობდნენ გაამრავლონ რიცხვი სცენის მოუკარეთა და არა შეამციროს; ეს უკანასკნელი მიუტაციებული შეცდომა იქნება.

აქ, ადგილის უქონლობის გამო, იმულებული კარ შეპწყარო დაპარაგია...

ნურც გომილეტს, ნურც რეფისთოს და ნურც სხვას, ნუ ეპონება, რომ ეს იუთს დაწერილი ვისიმე სამაგებლად. შირკელმაც და მორემაც კარგათ იციან, რომ მე არც ერთის მტერი ვარ და არც მეორისა. მაგრამ საზოგადო საჭმე უკედას მირჩევნია—და ბმისათვის სიმართლეს გამჟღავნებ.

ორთაჭალელი.

ხალხური ლიკსები.

ტირიან თუშის ქალები
არ მოგვივიდნენ ქმარები,
ვა თუ ლეკებმა წაასხეს
დააურევინეს თავები.

აუგავებული ატამი
ჩავარივე რიუის პირსა,
ქალო! ამას გეხვეწები
შემახედე გულის პირსა.

გოგოვ, ღეღიშენის შვილო
გადახრილო თემოშია,
შენთან ისრე მოვისუნებ.
როგორც ფური ეზოშია.

—
ნეტავ გოგოვ ღეღა-შენია
აიღოს და ქვა დამცესა,
მტერი წეალში გადავარდეს,
შენი თავი მე დამჩინესა.

—
როდის იქნება გათენდეს
გამოსულიუვ კარზედა,
ათამაშებდე ბროლ თითებს
გამლილს ხალიჩაზედა.

—
წალი წიგნო ჰირ-შესთანა
ჰირია მოვარემ მოგიყითხოს,
ჩემი გყითხოს მოახსენე:
საბრალო გარ გამიყითხოს.

ჭარილი რედაქტორთან.

პ. რედაქტორის

ზოხუეთ დაბეჭდოთ შემდეგი შენიშვნა: დიდის პატივის ცემით და კრძალებით ვაცნობებთ ქართველ საზოგადოებას, რომ ჩენგან მოგონილი მაშინა ქართული ენის შესასწავლებლად „ფრანსიული“ ენის წყალობათ — უკვე მოქმედობს. „მეხანისმი“ ამ მაშინისა გაკეთებულია „პარისში“ და მწარმოებლად აყენია „პარისშივე“ გაწვრთნილი და გამოცდილი პ. დ. პ. — შეილი. პირველი წაწილი სამაგალითო სახელმძღვანელოსი უკვე დაიბეჭდა, სახელად ეწოდება „საქებართა შებანი.“ მოელოდეთ მეორესაც.

შენიშვნის (პ. პ — შეილი.)
(დ. პ — შეილი.)

კვირიდან-კვირამდე.


კაცმა რომ უკრი უგდოს ჩვენ ცხრილებას, დაიხსომოს უველა რაცაც ჭრასაც, გაიგონებს და წაიკითხავს, მივა იმ დასკვნამდის, რომ მარწმ ის არის საკვირველი რასაც ეხდა არ მოგონებენ, რაც ეხდა არ მოხდება:

ერთმა პატივცემლმა ბაჟალმა (მეწვრიმალებ) სენ-დენის გასაკვირველი საქონელი მიიღო. ამ მეწვრიმალებ კონლოდამ გამოიწერა რამდენიმე ბოჩეა ზეთი. მოვიდა გამოწერილი ზეთი, მაგრამ როდესაც გახსნა ერთი იმ ბორჯათაგანი ნახა, რომ შეგ იღო კონლოელი არაბი. ფრანცუზები ჯერ არ მისულან იქამდის, რომ ამ გვარი მეუსეუ იქმარონ და ამისათვის ხსენებულმა ბაჟალმა გამოიმუავნა ეს ამბავი. მოვიდა გამომიედელი და ბრძანა: რადგანაც ეს არაბი თავის უნიჭერად მოპრანდა კონლოდამ, თავის უნებურადვე დაასაფლავთო... ადგა და წავიდა... ბაჟალმა რასაკვირველია იზარალა ამ ზეთში და რადგანაც შემოსავლ-გასაგალს სწორდა წიგნში — ეს ჩატურა შემდეგი სიტყვებით: ერთი არაბი, 50 ფრანგი, მისი დასაფლავება 60 ფრანგი — მაშა სადაც დაქნის მოგებიდამ უნდა გამოვრისხო 110 ფრანგი.

რადგანაც მკვდრებზე დავიწეუ ლაპარაკი — განვაგრძოთ: ერთი გაუბაკონი, რომელისაც ჭკერდა ბაჟორით ბარის დიურანის სახელით და სკპორობდა (პიონერი) „ერუტრე“ — ეი ხშირად მოგზაურიბდა „ტურკეან“ — ში სამგლოვიარ ტანისამოს ჩატურდი. ამ ბარისს ყოველოფის მოჭეობა ცალკე ვაგონში დაბჭეჭდილი და გარდებოთ მორთველი კუნი და ოვალი-ცრემლიანი შექ-

ჩოდა-უკელას, რომ მექთალი ბედი სდევნის საცოდავ პარონის და ზედი—
ზედ მოჰყავს იქ, საიდგანაც აღარ ბრუნდებიან, სხვა და სხვა წევრის საცო-
დავი პარონის სახლობისა — რომელთაც ეზიდება თავის სამშობლოში დასა-
საფლავებლად. როგორც მოგეხსენებათ უკელასა აქეს დასასრული და არც
ეს აშავი დარჩია გამოუმუღავნებელი. სწორედ შობის წინა დღეს დამოუნის
უკონსმა გამოუცხადა ამ პარონის თავისი გელითად მუტარება და სოხოვა
ეჩვენებინა ბედერული გარდაცვალებული. აქალეს ჩებოს და ო... ო... ო...!

მეტალო წეოს სოფელი რას არ მოახდევ!! გარდაცვალებულის მაგრა
ნახეს მშევნეობად ჩალაგბული ძვირფასი სიგარები და პირველი სარისხის
თამაჯო... უნტებე შო პარონი მაშინვე... ცოტში გაგზავნეს და იქ ანგარიშის
თუ რამდენს მოიგებს ამ უკანასკნელ მევდარში...



„თეატრის ფოსტა.“

ქუთ...სი. ს...ნ ა—ძეს. თეატრ დარდებს ჩვენ ვერას უშევლით. ჩაცემს
გერ არა აქვთ ადგილი... საჭირო ცოდნა, პაციონება და სურვილი საზო-
გადო საქმეების სამსახურისა არ არის დექ საჭირო. ერთანდელ უფროსებს
გადო საქმეების სამსახურისა არ არის დექ საჭირო. ერთანდელ უფროსებს
უყარო მონება: მოლჩარალინები.— გრიბოედოვს მიკმართოთ; იმისი მაღისალინი
მოტემ დარიგებას. ხე იფიქრებთ რომ პევრს სამსახურში შეჩვდეთ იმის-
თანა უფროსებს, რომელიც მაღისალინებს და გაიძერებას პაციოს არა სცენ-
დნენ და წარმატებაში არ მიჰყეანდეთ. უფროსები ასე ჭიდერობენ; ეს ბაცო-
ნები თავის თავს თვითონვე ამცირებენ და რაღა ჩვენი დაჩაგრძა უნდათ და...
ამისათვის პარიოსანი და საზოგადო საჭირო მასამსახურ კაცი უფრო იჩაგრე-
ბა და მოლჩალინები კისერზე ასხდებან. წერილი არ დაიბეჭდება და იწე-
ბა უმდევ ნუმერში „გრავრით“ გსოვევით რომე.

ქ. გა... ძეს. „საქებართა ქებანი“— ს უსახებ ამ ნუმერში ვერას ვატებით,
იმის მეტს, რომ ეს წიგნავ და „მოლალური“— საუმაწვილო წიგნი, ერთ
დღეს დაიხადნენ. უმდევ ნუმერში დაგავამაყოფილებოთ თევენს სურვილს.

რედაქტორი-გამომცემელი გ. აბაშიძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

საყოველ - პვირაო სალიტერატურო და სამ-
ხატვირო გაზეთი.

„თ ე ბ ტ რ ი“

გვითარა 1887 წელსა იმავე ჰროვარიშვილია და შინაარსით რო-
გორც აქამდე, წლის ბოლოს გაზეთი თეატრიდან შესდგება
თავი დადი წიგნი, რომელიც შეიცავს 1664 გვერდს.

თეატრში დაიბეჭდებან სხვათა შორის: მოთხრობანი, რო-
გორც თრიგინალური აგრეთვე საშპეტესო უცხო თხზულებათა
თარგმანი, პიესები, ანექსოტრები, მოსწრებული სიტუაცია, გასარ-
თობები, სალიტერატურო ლექსები, სამატემატიკო გამოცახები, ანდაზები
გრიტიკა, ბიბლიოთერატია, რეცენზიები და სხვა და სხვა...

რადგანაც აქა-იქა სოფლებში მატულობს რიცხვი სცენის
მოუკარეთა, ამისთვის რედაქტია თავის მოგალეობათა ქრისტის და-
აკმაყოფილოს მათი სურვილი სცენაზე აღვიღად წარმოსადგენი
შიესების ბეჭდით.

გაზეთ თეატრში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ხაუკეთესო
მწერლები.

რედაქტიას უკეთ აქს რამდენიმე ახალი თრიგინალური თხზუ-
ლება ჩვენის გამოხენილის მწერლებისა.

წლითვი სელის მომწერნი წლის დამლექს მიიღებენ სა-
ხულიად თქოს გარაფიან უდაში შეკრულს დიდ წიგნს, რომელ-
შიაც იქნება არა საკლებ სამი კლასიკური პიესისა და რომელიც
ეღიანება არა სელის მომწერთათვის ორი მანეთი.

ფასი გაზეთი თეატრისა: ერთი წლით 5 მ. ნახევარ წლით 3 მ.

რედაქტიას კანტორა არის თქოთმჭედლების ქუჩაზე № 48.
(სემინარიას პირ-და-პირ.)

ადრესი გარეშე სელის მომწერთათვის:

Тифлисъ. Контора редакции газеты „ТЕАТРЪ“.
Серебряная ул. № 48 (противъ Семинарии).